სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროგრამის შინაარსი

პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად)	ამერიკისმცოდნეობა /American Studies
მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად)	ამერიკისმცოდნეობის დოქტორი PhD in American Studies
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	სადოქტორო პროგრამა არის სამწლიანი, სასწავლო კომპონენტს ეთმობა 40 ECTS კრედიტი. **სავალდებულო სასწავლო კურსები/აქტივობები** - 25 კრედიტი (ECTS) **არჩევითი სასწავლო კურსები/აქტივობები-** 15 კრედიტი (ECTS) **სავალდებულო კვლევითი კომპონენტი** - დოქტორანტს მოეთხოვება ორი სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შესრულება და საჯაროდ წარდგენა, სამი პუბლიკაცია, ინტერნაციონალიზაციის დადასტურება და სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა. **დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტი** არის კვლევითი კომპონენტი, რომელიც ემსახურება დოქტორანტის მიერ დამოუკიდებელი კვლევით მიღებული სამეცნიერო სიახლის წარმოჩენას. იგი წარმოადგენს დამოუკიდებელ სამეცნიერო ნაშრომს დოქტორანტის უშუალო საკვლევი თემატიკის ფარგლებში, რომელშიც მოცემულია საკითხის ახლებური გადაწყვეტა და ორიგინალური სამეცნიერო დასკვნები. კვლევითი პროექტის მომზადებაში დოქტორანტი იყენებს დარგობრივ სემინარზე მიღებულ გამოცდილებას. დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტი მისი დისერტაციის ნაწილია. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის წინაპირობას წარმოადგენს სადისერტაციო ნაშრომთან დაკავშირებული, მინიმუმ, 2 სამეცნიერო კვლევითი პროექტი, რომლის ბეჭდურ და ელექტრონულ ვერსიებს დოქტორანტი სამეცნიერო ხელმძღვანელის რეკომენდაციის საფუძველზე წარუდგენს ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურს. სამეცნიერო-კვლევითი პროექტის საჯარო განხილვა/პრეზენტაცია ჩატარდება სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის, დოქტორანტის სამეცნიერო

	ხელმძღვანელისა და ფაკულტეტის შესაბამისი დარგის აკადემიური პერსონალის ჩართულობით. კვლევითი პროექტისადმი წაყენებული შენიშვნებისა თუ რეკომენდაციების გათვალისწინება დოქტორანტისთვის სავალდებულოა დასრულებული დისერტაციის ჩაბარებამდე. **სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა** დოქტორანტს დისერტაციის დაცვამდე მოეთხოვება სასწავლო კომპონენტისა და 2 სამეცნიერო კვლევითი პროექტის შესრულება. ამასთან, დოქტორანტს უნდა ჰქონდეს სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგების ამსახველი, მინიმუმ, სამი პუბლიკაცია. აღნიშნული პუბლიკაციებიდან ორი გამოქვეყნებული უნდა იყოს რეფერირებად (Peer-reviewed) საერთაშორისო ჟურნალებში (ან საკონფერენციო მასალებში), რომლებსაც აქვთ ISSN კოდი და ჰყავთ საერთაშორისო სარედაქციო საბჭო (ან სამეცნიერო კომიტეტი) და რომლებიც ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით და არის ღია საერთაშორისო თანამშრომლობისთვის. ამავდროულად, ამ ორი პუბლიკაციიდან, კვლევის ინტერნაციონალიზაციის დადასტურებლად, ერთი მაინც უნდა იყოს ისეთ საერთაშორისო ჟურნალში (ან საკონფერენციო მასალებში), რომელიც ინდექსირებულია Scopus-ის ან Web of Scienceის ბაზებში. მესამე პუბლიკაცია შეიძლება იყოს სტატია ადგილობრივ სამეცნიერო ჟურნალში, რომელსაც აქვს ISSN კოდი, კრებულში (ან საკონფერენციო მასალებში), რომელსაც აქვს ISSN ან ISBN კოდი ან მონოგრაფია, რომელსაც ჰყავს თავის დარგში კომპეტენტური რედაქტორი და რეცენზენტი (რეცენზენტები) და აქვს ISBN კოდი. აღნიშნული პუბლიკაციები არ უნდა იყოს დოქტორანტის მიერ თანაავტორობით შესრულებული ნაშრომი. პუბლიკაციებიდან ერთერთი შეიძლება არ იყოს დასტამბული, მაგრამ მიღებული იყოს გამოსაქვეყნებლად.
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები /კოორდინატორი	ელენე მეძმარიაშვილი, ისტორიის დოქტორი, პროფესორი, ამერიკისმცოდნეობის ს/ს ინსტიტუტის ხელმძღვანელი 599988423, elene.medzmariashvili@tsu.ge
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	• მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი სწავლის ქვემოთ მოცემულ ფართო სფეროებში შემავალ კვალიფიკაციებში.

	01 განათლება 02 ხელოვნება, ჰუმანიტარული მეცნიერებები 03 სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა და ინფორმაცია 04 ბიზნესი, ადმინისტრირება და სამართალი • გამოცდა ინგლისურ ენაში B2 დონეზე ან შესაბამისი სერტიფიკატის წარმოდგენა; • პროგრამის ხელმძღვანელისა და სადოქტორო ნაშრომის სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის დასაბუთებული რეკომენდაცია/თანხმობა. • კვლევითი უნარების შეფასების მიზნით, კანდიდატს მოეთხოვება აამერიკისმცოდნეობის სფეროში წინარე ნაშრომი/პუბლიკაცია ან/და სამეცნიერო-კვლევით პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობა, ან/და შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 2-წლიანი გამოცდილება (იხ. პროგრამის დასაქმების სფეროები); • დოქტორანტობის კანდიდატი დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე მიმღებ კომისიას წერილობითი სახით წარუდგენს სადოქტორო კვლევის თეზისს/პროექტს, რომელიც მომზადებული აქვს სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელთან შეთანხმებით. • კომისიის მიერ კვლევის თეზისის/პროექტის დადებითად შეფასების შემთხვევაში დოქტორანტი გადის გასაუბრებას სპეციალობაში. • სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება გასაუბრებასა და სადოქტორო კვლევის თეზისის/პროექტის შეფასებისას მიღებული ქულების მიხედვით მიმღები კომისიის მიერ გაწეული რეკომენდაციის საფუძველზე. უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, აგრეთვე, შიდა შესარჩევი კონკურსის შედეგების საფუძველზე.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	ამერიკისმცოდნეობის სადოქტორო პროგრამა დოქტორანტებს სთავაზობს რამდენიმე საკვლევ მიმართულებას, რომელთა შორის ძირითადია **ისტორია, პოლიტიკა, სოციალური საკითხები და კულტურა.** პროგრამით გათვალისწინებულია მათი სიღრმისეული ინტეგრირებული სწავლება და კვლევა. პრიორიტეტი ინტერდისციპლინური საკითხების კვლევას ენიჭება (მაგალითად, ისტორია/ლიტერატურა, პოლიტიკა/ ისტორია, საგარეო პოლიტიკა/ საერთაშორისო ორგანიზაციები,

	ისტორია/ ქალთა საკითხები, ლიტერატურა/ ქალთა საკითხები, ფილოსოფია/ რელიგია, ისტორია/ მიგრაციული პროცესები/ სოციალური საკითხები, მულტიკულტურალიზმი/ სოციალური პრობლემები, ხელოვნება/ისტორია/სოციალური საკითხები და ა.შ.). აქედან გამომდინარე, პროგრამის მიზანია: • მოამზადოს ამერიკისმცოდნეობის როგორც მულტი და ინტერდისციპლინური განათლებისა და მეცნიერების დარგის უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნის საფუძველზე მაღალი დარგობრივი კომპეტენციის მქონე, მოტივირებული და პასუხისმგებლიანი მკვლევარი, რომელსაც შეუძლია ახალი ცოდნის შექმნის მიზნითა და ინოვაციური მიდგომების გამოყენებით, დაგეგმოს და განახორციელოს კვლევა; • სიღრმისეულად შეასწავლოს დარგობრივი კვლევის ინტერდისციპლინური და სხვ. თანამედროვე მეთოდები, რის საფუძველზეც ის დამოუკიდებლად მოიპოვებს და კრიტიკულად დაამუშავებს სრულ ინფორმაციას საკუთარი კონკრეტული სამეცნიერო ინტერესების სფეროში არსებული სიახლეებისა და უახლესი მიღწევების შესახებ და მუდმივად განაახლებს დარგობრივ ცოდნას; • განუვითაროს მას დამოუკიდებლად სწავლისა და ახალი ცოდნის ათვისებისა და გათავისების, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ორგანიზებისა და წარმართვის უნარი, რის საფუძველზეც შექმნის მეცნიერული ღირებულების მქონე საკვალიფიკაციო ნაშრომს და ინტეგრირდება დარგის საერთაშორისო სამეცნიერო ქსელში, განახორციელებს საგრანტო პროექტებს და მოამზადებს სამეცნიერო პუბლიკაციებს მაღალრეიტინგული რეფერირებადი გამოცემებისთვის; • გამოუმუშავოს მას დარგში ახალ გამოწვევებზე შემოქმედებითად და დამოუკიდებლად რეაგირების უნარი, დარგში კომპლექსური პრობლემების გადაჭრის გზების მოძიების უნარი; მომიჯნავე დარგების მკვლევრებთან თანამშრომლობით ინტერდისციპლინური კვლევების უნარი; • აღზარდოს მკვლევარი პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის მაღალი ხარისხით, რომელსაც ექნება მაღალი სოციალური და დემოკრატიული ფასეულობები, დაიცავს და დაამკვიდრებს აკადემიური და

	პროფესიული ეთიკის ნორმებს, ხელს შეუწყობს საზოგადოების ინტელექტუალურ, ზნეობრივ და კულტურულ განვითარებას. • მოამზადოს კურსდამთავრებული უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში პედაგოგიური და კვლევითი მოღვაწეობისთვის, შესძინოს მას უნარები, გადასცეს ახალი ცოდნა დარგში და კვლევის სიახლეები, დანერგოს სასწავლო პროცესში სწავლების ინოვაციური მეთოდების გამოყენებით.
სწავლის შედეგები	ამერიკისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის მიზნების მისაღწევად გამოყენებული სასწავლო და კვლევითი კომპონენტები უზრუნველყოფს შემდეგი შედეგების მიღწევას:
ა) ცოდნა და გაცნობიერება	• კრიტიკულად, სისტემურად და სიღრმისეულად აფასებს დარგში არსებულ უახლეს თეორიებსა და მიდგომებს და მათ ინტერდისციპლინურ ხასიათს; • განსაზღვრავს და მიმოიხილავს ამერიკისმცოდნეობის განვითარების ძირითად მიმართულებებს და თანამედროვე კონცეფციებს; არჩეულ მიმართულებაში მეცნიერების უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული ფართო, ღრმა და სისტემური ცოდნის საფუძველზე არგუმენტირებულად ასაბუთებს დარგში არსებული ცოდნის გაფართოების აუცილებლობას. • განიხილავს ამერიკისმცოდნეობის ადგილს თანამედროვე ინტერდისციპლინური ცოდნის სისტემაში; საკვლევად არჩეული დარგის ურთიერთკავშირს სხვა სოციალური, პოლიტიკური თუ ჰუმანიტარული განათლებისა და მეცნიერების დარგებთან. • აფასებს პროფესიულად ამერიკისმცოდნეობის კვლევის ცალკეულ მიმართულებებს, რაც შესაძლებლობას აძლევს მუშაობა წარმართოს საერთაშორისო სტანდარტის დონეზე, ობიექტური და ახლებური ხედვის საფუძველზე გადააფასოს არსებული ცოდნა და ღირებულებები.
ბ) უნარები	• დარგის უახლეს მიღწევებსა და კვლევის უახლეს მეთოდებზე დამყარებული ფუნდამენტური ცოდნის საფუძველზე მკაფიოდ აყალიბებს ამერიკისმცოდნეობის აქტუალურ საკვლევ საკითხებს; • ქმნის საკვლევ სფეროში აკადემიური ფორმით არგუმენტირებულ, მეცნიერული ღირებულების მქონე,

	სამეცნიერო სიახლის შემცველ ტექსტებს/პუბლიკაციებს მაღალრეიტინგული სამეცნიერო-პერიოდული გამოცემებისთვის, სადაც კრიტიკულად აანალიზებს და აფასებს ამერიკისმცოდნეობაში არსებულ დარგობრივ ლიტერატურასა და კომპლექსურ, წინააღმდეგობრივ იდეებს, წარმოადგენს საკუთარი კვლევის შედეგებს ადგილობრივ და საერთაშორისო სემინარებსა და კონფერენციებზე; • გადასცემს ცოდნას სტუდენტებს ინოვაციური მიდგომებით; კვალიფიციურად ამზადებს დარგის ცალკეული მიმართულების სასწავლო-მეთოდურ მასალებს.
გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	• ამერიკისმცოდნეობის დარგის საკვლევ საკითხზე დამოუკიდებლად, ავტონომიურობის მაღალი ხარისხით, აკადემიური და პროფესიული კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, გეგმავს და ახორციელებს კვლევით პროექტებს; • აკადემიური/პროფესიული საქმიანობისას წარმოადგენს ორიგინალურ მეთოდებს/მიდგომებს და საკუთარი წვლილი შეაქვს დარგის განვითარებაში.
სწავლება-სწავლის მეთოდები	ვერბალური (ზეპირი პრეზენტაცია), პრაქტიკული (პროექტის შემუშავება და წარმართვა), წიგნზე და მასალაზე მუშაობის, ანალიზისა და სინთეზის, დისკუსიის, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, შემთხვევის ანალიზის, შედარებითი ანალიზის მეთოდები, რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევა, ჯგუფური მუშაობა და სხვ.
შეფასების სისტემა	დაუშვებელია სტუდენტის სემესტრული მიღწევის შეფასება მხოლოდ სემესტრის ბოლოს ჩატარებული გამოცდის მიხედვით. დოქტორანტის მიერ სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება ითვალისწინებს: ა) მისი დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას; ბ) შუა სემესტრულ რეიტინგულ შეფასებას; გ) სემესტრის დასკვნით შეფასებას. **შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:**

	ა) (A) ფრიადი –შეფასების 91-100 ქულა; **ბ)** (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; **გ)** (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; **დ)** (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; **ე)** (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა; **არსებობს ორი სახის უარყოფითი შეფასება:** **ვ)** (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება; **ზ)** (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც სემესტრული შუალედური შეფასების მაქსიმალური ქულების რაოდენობიდან დაგროვილი აქვს მინიმუმ 21 ქულა. *დასკვნით და დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღისა.* დოქტორანტის სასემინარო ნაშრომი ფასდება ასქულიანი სისტემით, რაშიც დარგში დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე რეცენზენტის მიერ იწერება შეფასება 60 ქულის ფარგლებში (დადებით შეფასებად ითვლება 31 ქულა), ხოლო სემინარის პრეზენტაცია ფასდება 40 ქულის ფარგლებში (დადებით შეფასებად ითვლება 20 ქულა), წინასწარ დადგენილი კრიტერიუმებით. დოქტორანტი ვალდებულია, შეასრულოს და საჯაროდ წარმოადგინოს ორი სამეცნიერო-კვლევითი პროექტი,

	რომლებიც არის მისი სადისერტაციო კვლევის ნაწილი. სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ფარგლებში შესრულებულ ნაშრომზე დარგში დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე რეცენზენტის მიერ იწერება რეცენზია, ხოლო ნაშრომის პრეზენტაცია ფასდება წინასწარ დადგენილი კრიტერიუმებით (განმავითარებელი შეფასება). სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დადებითი შეფასება არის სადისერტაციო ნაშრომის დასაცავად მიღების წინაპირობა. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრების მიერ დისერტაციის შეფასება ხდება კონფიდენციალურად, ასქულიანი სისტემით. **სადისერტაციო ნაშრომის შეფასება:** დისერტაციის საბოლოო შეფასებისათვის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიას გამოყავს ქულათა საშუალო არითმეტიკული, რომელსაც შეუფარდებს შეფასებას შემდეგი სისტემის მიხედვით: ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი - შეფასების 91-100 ქულა. ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა. გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა. დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა. ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც

	აკმაყოფილებს – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა. ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა. ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები. „ა“–„ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი. „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს უფლება ეძლევა ერთი წლის განმავლობაში წარადგინოს გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი. „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იმავე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.
დასაქმების სფეროები	კურსდამთავრებულებს შეუძლიათ იმუშაონ: ▪ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში; ▪ პროფილურ საჯარო სამსახურებში; ▪ საერთაშორისო ორგანიზაციებში; ▪ არასამთავრობო ორგანიზაციებში; ▪ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში, სოციალური, პოლიტიკური თუ კულტურული საკითხებით დაკავებულ როგორც სახელმწიფო, ასევე არასამთავრობო და კერძო სტრუქტურებში; ▪ მასობრივი მედიის საშუალებებში და ტურისტულ სააგენტოებში; ▪ სოციალური, პოლიტიკური და კულტურული საკითხების ანალიზისა და შეფასების ექსპერტებად; ▪ ანალიტიკურ ცენტრებში.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სწავლის საფასური საქართველოს მოქალაქე და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისათვის	პროგრამაზე სწავლის წლიური საფასური საქართველოს მოქალაქე სტუდენტებისთვის შეადგენს 2250 ლარს. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს, სწავლებისა და კვლევის ინტეგრაციისა და ინტერდისციპლინური მკვლევრების მომზადების მნიშვნელობიდან გამომდინარე, ფინანსური შეღავათები აქვს დაწესებული სადოქტორო პროგრამების სტუდენტებისთვის პროგრამის ხელმძღვანელთა შუამდგომლობის საფუძველზე (შეღავათი არ ვრცელდება დამატებითი სემესტრის დოქტორანტებზე). სწავლის საფასური უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის განისაზღვრება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით.
პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი	პროგრამის განხორციელებაში ჩართულები არიან თსუ ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორები, ასოცირებული პროფესორები და ასისტენტ პროფესორები: 1. მეძმარიაშვილი ელენე, ისტორიის დოქტორი, თსუ პროფესორი (ამერიკისმცოდნეობის ს/ს ინსტიტუტი) 2. ბარნოვი მიხეილი, ისტორიის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი (ამერიკისმცოდნეობის ს/ს ინსტიტუტი) 3. ზაქარიაძე ანასტასია, ფილოსოფიის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი 4. პაპასქირი თეიმურაზ, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ პროფესორი (ახალი და უახლესი ისტორიის ს/ს ინსტიტუტი) 5. იაშვილი ია, საზოგადოებრივი გეოგრაფიის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი 6. ღვინერია ეთერი, განათლების მეცნიერებათა დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი 7. კაკაჩია კორნელი, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, თსუ პროფესორი 8. ჩიტაშვილი მარინე, ფსიქოლოგიის დოქტორი, თსუ პროფესორი (პოლიტიკური ფსიქოლოგია) 9. დონაძე ნათელა, სოციოლოგიის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი 10. ამირანაშვილი გიორგი, სამართალმცოდნეობის დოქტორი, თსუ ასისტენტ პროფესორი

	პროგრამის გამართული მუშაობა უზრუნველყოფილია შემდეგი მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით: • თსუ-ს კომპიუტერული ბაზები და კომპიუტერული ცენტრები; • თსუ-ს, ასევე ჰუმანიტარულ, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტების რესურს–ცენტრები; • ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკები (ცენტრალური საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა, რომელიც მდებარეობს უნივერსიტეტის ქუჩა N11-ში; თსუ-ს ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა, რომელიც მდებარეობს მ. ალექსიძის ქუჩის მე-2 შესახვევი N3-ში; საბიბლიოთეკო დარბაზები და წიგნსაცავები: შოთა რუსთაველის სახელობის - ჭავჭავაძის გამზირი N1-ში, თსუ I კორპუსი; თსუ V კორპუსი https://www.tsu.ge/ka/library). • ამერიკული ბიბლიოთეკა და სამკითხველო დარბაზი, რომელიც მდებარეობს ამერიკისმცოდნეობის ს/ს ინსტიტუტში (ი. ჭავჭავაძის გამზირი N3, თსუ II კორპუსი, ოთახი 152) • თსუ-ს ელექტრონული სწავლების პორტალი; https://e-learning.tsu.ge/ • თსუ-ს სტუდენტებს და პროფესორ-მასწავლებლებს შეუზღუდავი და ულიმიტო წვდომა აქვთ ისეთ ელექტრონულ ბაზებსა და ჟურნალებზე, როგორებიცაა: EBSCO Publishing, Cambridge University Journals, JStor, Scopus და სხვ. https://www.tsu.ge/ka/library/page/893 • ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ამერიკისმცოდნეობის ს/ს ინსტიტუტის შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.
პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა	სადოქტრო პროგრამის ფინანსურ უზრუნველყოფას ახდენს თსუ და გაწერილია ფაკულტეტის ბიუჯეტში.
დისერტაციის დაცვაზე დაშვების წინაპირობა	სასწავლო კომპონენტისათვის განკუთვნილი კრედიტების სრულად ათვისება **(40** კრედიტი**);** თუ დოქტორანტს საკვლევი თემის სპეციფიკიდან გამომდინარე, ესაჭიროება კონკრეტული დარგობრივი ცოდნის გაღრმავება, მას უფლება აქვს თავისუფალ მსმენელად დაესწროს და მოისმინოს სწავლების ქვედა საფეხურზე სასპეციალიზაციო სასწავლო კურს(ებ)ი (კურიკულუმგარე აქტივობა). • სავალდებულო 2 სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესრულება და საჯარო დაცვა; • სადისერტაციო ნაშრომის შეფასების პროცესის

	ინტერნაციონალიზაცია, რაც განხორციელდება უნივერსიტეტის დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის (თსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება №245/2018) მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად. და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის აუცილებელი პროცედურები იხ. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებაში, რომელიც ემყარება საუნივერსიტეტო სადოქტორო სტანდარტს.
აკადემიური კეთილსინდისიერება	აკადემიურ კეთილსინდისიერებას ძალიან დიდი ყურადღება ექცევა აღნიშნული პროგრამის ფარგლებში.დოქტორანტმა: • უნდა წარმოადგინოს დამოუკიდებლად მომზადებული დავალება, ნაშრომი, რომელშიც აკადემიური სტილის დაცვით მითითებული იქნება, თუ ვის ეკუთვნის ესა თუ ის იდეა და/ან სიტყვები; • არ უნდა მოახდინოს მონაცემთა ან სხვა ინფორმაციის გაყალბება. იმ შემთხვევაში თუ რომელიმე ზემოხსენებულ ქმედებას ექნება ადგილი, სტუდენტს დაეკისრება ეთიკის კოდექსით განსაზღვრული დისციპლინური პასუხისმგებლობა აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევის გამო, რომლებიც ჭეშმარიტი აკადემიური განათლების განუყოფელი ნაწილი და უნივერსიტეტის ფუნდამენტური ღირებულებაა. სანქცია შეიძლება იყოს როგორც ნაშრომის ელახლა მომზადება, ასევე სასწავლო ან სამეცნიერო კომპონენტში არადამაკმაყოფილებელი ქულის მიღება.
დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)	1. სადოქტორო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი შეიძლება განხორციელდეს პარტნიორ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით სართაშორისო პროექტების ფარგლებში, მათ შორის, რუზველტის ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტთან (ნიდერლანდები) თანამშრომლობით, რომელთანაც ამერიკისმცოდნეობის ს/ს/ ინსტიტუტს თანამშრომლობის მემორანდუმი აქვს გაფორმებული. მემორანდუმი ითვალისწინებს ამერიკისმცოდნე დოქტორანტების მონაწილეობას რუზველტის ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ დოქტორანტთა ყოველწლიურ საერთაშორისო სემინარში, სხვა სამეცნიერო აქტივობებში, ერთობლივ პუბლიკაციებსა და მათ ბიბლიოთეკაში მუშაობას.

	2. სადოქტორო პროგრამას შესაძლებლობა აქვს ყოველწლიურად მიიღოს არაუმეტეს 3 დოქტორანტისა. 3. საჯარო დაცვაზე ნაშრომის წარდგენამდე დოქტორანტი ვალდებულია საკუთარი ნაშრომი ატვირთოს პლაგიატის დეტექციის პროგრამაში.